# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 147

წელიწადი მეორე

1913

ხუთშაბათი, 19 სეკტემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.



## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

...თ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარე- საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება 20 ეკე- ...ვიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შე- ...ში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ...თ მიღებული საქონლები: კაცის ყოვლნაირი მშვენიერი კასტუმი 5 მან. ...ყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშე- ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის ...ვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ...მების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალ- ...ი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, რუბა- ...ბი და სარუბაშკეები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების, ...იკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რე- ...ბი, ყოველნაირი რეზინა საპადვიოსკე და აგრეთვე მზა პადვიოსკები ქალთა ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზო- ...ოებას, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ...მოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ...ვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. **ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.** პატივისცემით ა. ახვლედიანი.

---

ПО СЛУЧАЮ ОТЪѢЗДА

**ПРОДАЕТСЯ** очень дешево дача въ Сурамѣ, большой двухэтажный домъ съ флигелемъ; полторыдѣсятины земли; изъ нихъ полъ ...сят. сосновой рощи съ банковскимъ долгомъ, объ условіяхъ узнать: г. Кисловодскъ до востебованія, *Генеральшѣ Якуловой.*

ავარავ სურამში, საიდანაც მივდივართ,

იაფათ იყიდება

...ი ორსართულიანი სახლი ფლიგელით, ერთ-ნახევარი დესეტინა მიწით. ნახე- ... დესეტინაზე ნაძვნარია, ბანკის ვალით. პირობების შეტყობა შეიძლება ამ ...მართით: კისლოვოდსკში ღენერლის მეუღლეს იაკულოვისას (до востребованія).

---

# კ. ი. ოცხელის

ახალი წიგნის მაღაზია

(ქ უ თ ა ი ს შ ი).

...მავლობას უწევს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და ბიბლიოთეკებს, და უთმობს მათ

**უდიდეს პროცენტს.**

**... ი. ოცხელის** წიგნის მაღაზიის საკუთარ ახალი გამოცემები: დაიბეჭდა და იყიდება, საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა მესამე გამოცემა, ფასი უდით 2 აბაზი

...ქდება მოკლე ქართული გრამატიკა ი. ნიკოლეიშვილისა მეორე გამოცემა **ფასი უდით 1 აბაზი.** 10—1

---

...ქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ თფილისის ...აზე **ქალაქის აფთიაქის გვერდით,** ჩვენ ძმ. გრიგოლაშვილებმა მოვაწყვეთ ახალი რესტორანი

# ფაზისი,

...აც შეიძლება იშოვოთ ახალი სანოვაგისაგან გაკეთებული საუზმე, სადილი და ...მამი ქართული და ევროპიული **იაფ-ფასათ;** ყოველგვარი ღვინო, ტკბილი სასმელი და ცივი მინერალური წყალი.

**რესტორანში დაცულია სიწმინდე და თავაზიანი მოპყრობა მოსამსახურეების**

---

# თ. ა. მთავრიშვილის
# წიგნის მაღაზია

...წყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

**...იდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,**

...მელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

...რველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ...ოებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო** ...ფთრები და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.**

---

კინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

# პაროსი
25 ცალი 3 შ. | 10 — 6 კ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოვო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

---

## თფილისის საპოლიტეხნიკო კურსები ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწის-მზომელო, საალმშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწის-მზომელო და საალმშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. მეცადინობა 1 ოკტომბერს დაიწყება. პროგრამისა და პირობებისათვის საჭიროა 4 შვიდ-კაპიკიანი მარკა. პირადად მოლაპარაკება შეიძლება სალამ. 4 8 ს., **დუშეთის ქ. № 4, ბინა მე-2.**

---

## ᲐᲥᲘᲛᲘ ვალერიან ლორთქიფანიძე

**ღებულობს შინაგან, ბავშებისა და ნერვების ავათმყოფებს.**

ᲘᲥᲕᲔ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ

გამოკვლევა **შარდისა** (ვენერიული, ბუშტის, თირკმლების, შაქრის, ქარებისა და თირკმლების, ქვისა და ხრეშის ავათმყოფობის გამოცნობა).
**ნახველისა** (ჭლექი, ფილტვების ანთება, ინფლუენცა, აქტინომიკოზი და სხვ..)
**სისხლისა** (მალარია, ტიფი და სხვადასხვა გვარი უსისხლობა).
**კუჭის სითხისა** (კუჭის კატარი, მისი მუწუკი, კიბო და სხვა).
**ესკრემენტებისა** (ნაწლევების პარაზიტებზე და მის კვერცხებზედ).
**ჩირქისა** (ჭლექი, დიფტერიტი და სხვა).
**ქალის რძისა.**

**ადრესი:** პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის ზევით.

---

# ვყიდულობ

მველ ნივთებს:

ოქროს, ვერცხლს, წიგნებს მინიატიურებით, ხატებს დახატულსა და ამოჭრილს, ფარფორისა და ფიანსის ჭურჭელს და სხვ. დავრჩები მხოლოდ ერთი დღე 19 სეკტემბერს „ფრანციის“ სასტუმროში, № 2-ი. პირადათ ნახვა შეიძლება დილის 10—1 საათამდი და 2-დან საღამოს 5 საათამდი.

---

აქიმი კ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთ გამგზავრების გამო დროებით ავათმყოფებს ველარ მიიღებს. 7—15

---

**ᲐᲥᲘᲛᲘ** კ. ი. **აშიანცი დაბრუნდა** და ავათმყოფების მიღება განაახლა. **ივანოვის ქ. ჰ. აშიანცის სახლი.**

---

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი.

---

**ა ქ ი მ ი** გ. ა. **მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30

---

**ა ქ ი მ ი** კ. თ. **ტყეშელაშვილი.**

ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

---

## ᲐᲥᲘᲛᲘ Ი. ᲩᲐᲠᲔᲥᲝᲕᲘ

იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

---

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

## მ. ბალანჩივაძისა

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ საწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ურცი ყვავილსაც.

გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.


---

## ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ.

როგორც ჩანს ბალკანეთის ტრაგედიას ჯერ კიდევ წინ დიდი პერსპექტივა უძევს, სისხლიდან დაწრეტილს ნახევარ კუნძულს კვლავ მრისხანე ბედი დატრიალობს თავს, სისხლი ვერ აძღებს და სურს მოუსვენარი ავათმყოფი მთავარი ძარღვის გადაჭრით ერთხელ და სამუდამოთ მიაყუჩოს, სიკვდილის მკერდზე მოასვენოს. როგორც ვიცით, ბალკანეთის კავშირს თვით მოკავშირეებმა გაუთხარეს სამარე: ლონდონმა ვერავინ დააწყნარა, ვერც ბუქარესტმა შეიტანა ბალკანეთის ცხოვრებაში მშვიდობიანობის რტო, ბუქარესტსპეტამბოლი მოყვა და შეიძლება დღეს ან ხვალ ვალონაში, დურაცოში ან ბელგრადში შეიკრიბონ „შორს მჭვრეტელი დიპლომატები“ სამშვიდობო ხელშეკრულობაზე **ხელის** მოსაწერათ და საზღვრების გასამიჯნავით. ჯერჯერობით არც ერთი არ ეტევა თავის ქერქში და ყოველდღე ბალკანეთის სახელმწიფოები რიგრიგობით ახალახალ სიურპრიზებს აწვდიან ევროპის საზოგადოებრივ აზრს. ენვერ-ბეის მიერ ადრიანოპოლზე გალაშქრებამ, (რასაკვირველია, უსისხლოთ) რომელსაც პირველ ხანებში ევროპის დიპლომატებს სასაცილოთაც არ ყოფნიდათ სერიოზული მიმდინარეობა მიიღო და ბულგართა მიერ ზღვა სისხლით ძლებული ადრიანოპოლის სიმაგრეები წვეთი სისხლის დაუღვრელათ დაიბრუნეს ოსმალებმა ენვერბეისა და თაალათ ბეის კომბინაციებმა. მიწასთან გასწორებული ოსმალეთი გამოაცოცხლა, ახალგაზდა ოსმალთა დაცემული პრესტიჟი აამაღლა და სულით დაცემულ ოსმალეთის ხალხს გამბედაობა შემატა. შოვინისტ გენერლებისაგანა და უვიცი პოლიტიკანებისაგან საომრათ წაქეზებულმა ბულგარეთმა საშინელი დღეები იწვნია; მეფე ფერდინანდის უსაზღვრო ოცნებას ფრთა შეეკვეცა, დიდი იმპერიის შექმნაზე ფიქრი წარსულის აჩრდილათ იქცა და პირველ ომში გამარჯვებით ძლევამოსილმა სავომა სამარცხვინოთ მოაწერა ხელი ოსმალეთთან დადებულს დამამცირებელ ხელშეკრულობას. ამნაირათ გადატრიალდა ბედის ჩარხი, ამგვარი მიმდინარეობა მიიღო ისტორიულმა მსვლელობამ და ამგვარათ მოგზაურობს იგი დღევანდლამდი. ამ ჟამათ უნიადაგოთ არ მიაჩნიათ საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის შეტაკება ეგეის კუნძულების გამო. როგორც ბულგარეთმა, ისე, შეიძლება, ვერც ბულგარეთთან გამარჯვებულმა ოსმალეთმა შესძლოს თავის შეკავება, და დღეს გამოცოცხლებულმა, ხვალ შეიძლება ბოსფორის ნაპირებზე მონახოს საუკუნო განსასვენებელი. როგორც უკვე ცნობილია, მეომარ სახელმწიფოს მაღას ისე არაფერი არ ალვიძებს და ავითარებს, როგორც გამარჯვება, თუნდა ეს გამარჯვება იმდენათ გამარჯვებულის ძლევამოსილებაზე არ იყოს დამყარებული, როგორც დამარცხებულის უსაზღვრო სისუსტეზე.

ასეა ახლაც: საბერძნეთის მეფე კონსტანტინე უკვე კარგა ხანია, რაც მეფე ფერდინანდისებურმა სენმა შეიპყრო და დიდ იმპერიაზეც დაიწყო ოცნება, ენვერბეებს კი ხომ თავი ნაპოლეონებათ მოაქვთ მას შემდეგ, რაკი უჯარისკაცო ადრიანოპოლი წინააღმდეგობის გაუწევლათ დაიპყრეს. ესაა მიზეზი, რომ დღეს ოსმალეთს გამომწვევი სახე აქვს მიღებული და აშლილი მადა არ იცის რაგვარათ დაიკმაყოფილოს. შეიძლება ენვერბეის გმირობას მეფე კონსტანტინეს სიმამაცემ შეაკვეცოს ალმაფრენა, ან საბერძნეთის „ბისმარკის“ ვენიზელოსის პოლიტიკურმა შორსმჭვრეტელობამ ეგეის რომელიმე კუნძულზე ნახოს სამარე. ასეთივე გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული დამოუკიდებელი ალბანეთის სვებედი, რომელიც ესად-ფაშასი, ისა ბოლეტინაცისა და იზმაილ ქემალ ბეის საკინკლაო არენათ გადიქცა, ავსტრიის დიპლომატიის ავანტიურამ ნათლათა და გარკვეულათ იჩინა თავი, გრაფი ბერხტჰოლდის ზრახვანი უკვე აშკარაა, სერბია—მთაშავეთის მოსაზღვრე ალბანეთის მეამბოხეებმა უკვე დაუწყეს მეზობლებს შევიწროება, დიბრასა და დიაკოვიცას შუა გახურებული ბრძოლაა, საზღვრების მცველი სერბიის ჯარისკაცთა პატარ-პატარა რაზმები ალბანელებმა ამოხოცეს, სერბიის წინააღმდეგ 20 ათასი კარგათ შეიარაღებული ალბანელი მოქმედობს უცხოელთა წინამძღოლობითა და მეთაურობით. ტუზას ციხე უკვე დაიკავეს ალბანელებმა, საიდანაც განდევნეს ჩერნოგორიის ჯარისკაცები. მდგომარეობა ძალზე გამწვავებულია. სერბია მობილიზაციას ახდენს, იარაღის ქვეშ მოუწოდებს სათადარიგო

ჯარისკაცებს და ევროპას ალბანეთში სტრატეგიული პუნკტების დაკავებით ემუქრება. საქმე სანამდი მივა ამის თქმა ამ ხანად შეუძლებელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ყოველივე ამაში აშკარათ მოსჩანს ავსტრიის ხელი, რომელსაც სერბიის გაძლიერება ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს. ბუქარესტის კონფერენციაზე დამარცხებული ბერხტჰოლდი არ ისვენებს, მტერს შურისძიებით ემუქრება, შელახული თავმოყვარეობა ძალზე სტანჯავს და სურს შური რაც შეიძლება მალე იძიოს და, ცხადია, თუ ამჟამათ არა, დიდი ხანი მაინც არ დასჭირდება, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანოს, რადგან მის მიერ გამინჯული დამოუკიდებელი ალბანეთი მარჯვე იარაღია სერბიის დასაუძლურებლათ და დასასუსტებლათ. თუ შესძლებს სერბია, რომ ახლავე დაემკვიდროს ალბანეთის იმ ადგილებში, რომელიც მისთვის ახლო მომავალში საფრთხეს შეადგენს, ხომ კარგია, თუ არა ბალკანეთის ნახევარი კუნძული მუდმივ საბრძოლველ არენათ გადაიქცევა, რომელიც ამ ნახევარი კუნძულის სამეფოებს დასცემს, დაასუსტებს და ასასრულს დაუახლოებს. ამ შემთხვევაში სერბიას სჭირდება რუსეთის მოწყალე ხელი, ურომლისოთაც ყოველი ცდა მისი ამ გზით, თავიდანვე სასიკვდილოთ იქნება განმზადილი, რადგან ავსტრიის დიპლომატებს კარგათ ესმოდათ, რასაც შვებოდენ, როდესაც სასტიკი დაჟინებით მოითხოვდენ ალბანეთის დამოუკიდებლობას.

**იმერი.**

# ახალი ამბავი.

ქუთაისის მომღერალთა საზოგადოების გამგეობამ ერთხმათ გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს თავისი ხოროთი კ. ფოცხვერაშვილის კონცერტში სრულიად უსასყიდლოთ.

✦ დღეს, საღამოს 7 საათზე ქალაქის თეატრში დანიშნულია ხოროსთვის პირველი რეპეტიცია.

✦ ქუთაისს ჩამოვიდა ავიატორი ბესარიონ ქებურია. სანამ იფრენდეს, მას განზრახვა აქვს საჯარო ლექცია წაიკითხოს სადმე გაშლილ ადგილას, ხალხს აჩვენოს თავისი აპარატი და აუხსნას მისი მოწყობილობა. ქალაქმა ამ მიზნისთვის დაუთმო ქალ. ბაღი, სადაც მცირე სასყიდლით მოისმენს ყველა და გაეცნობა ბეს. ქებურიას აპარატს, რომ უფრო მისწვდეს საიდუმლოებას ჰაერში ფრენისას.

✦ ჩვენ მივიღეთ უნივერსალური ბიბლიოტეკის გამოცემა მგოსანი აკაკის „ბაში-აჩუკისა“. ეს ისტორიული მოთხრობა უთარგმნიათ ძმ. გრ. და ვლ. ჯაფარიძეებს. წიგნს წინ უძღვის ა. ხახანაშვილის წერილი აკაკის შესახებ. თარგმანი კარგია, გამოცემა სუფთა და ღირს ორ შაურათ.

✦ ქუთაისის მეყასბეებმა და მეფურნეებმა ქალაქის საბჭოს სთხოვეს პურსა და ხორცზე ნიხრი გაადიდეთო.

✦ ქალაქის საბჭოს წვრილი კრედიტის გამგეობამ საზოგადოების მოსათავსებლათ ერთი ოთახის დათმობა სთხოვა.

✦ ეპარქიალური სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ თავისუფალ ადგილზე მასწავლებლათ აირჩია ვერა ფხაკაძის ასული. ეპისკოპოზმა ფხაკაძის ასული მასწავლებლათ დაამტკიცა.

✦ კვირას 22 სექტემბერს გრ. მეფარიშვილი ხონში წაიკითხავს თავის ლექციას „სიცოცხლის“ ღირებულება“-ზე.

✦ „Зак. Рѣчь“-ს დეპეშით ატყობინებენ: 16 სექტემბერს, ბაქოდან მომავალი, მე-3-ე № მატარებელი სადგურ სოსიკასთან დაიმსხვრა კავკ. რკ. გზაზე. ცნობაა, ბოროტგამზრახველებს მატარებლის გაცარცვა სურდათო. ლოკომოტივი გადაბრუნდა, ექვსი ვაგონი ნაკუწნაკუწათ იქცა. მოკლულია 40, დაჭრილთა რიცხვი ასზე მეტია.

✦ „Бат. День“-ი იუწყება:—ამ დღეებში ოზურგეთის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ზაკუსოვი ოზურგეთიდან ოჯახობით წავიდა. სარწმუნო წყაროებიდინ ცნობაა, რომ მას თანამდებობიდან ითხოვენ და პასუხისგებაში აძლევენო.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ცირკულიარული მოწერილობა დაუგზავნა მომრიგებელ შუამავლებს, რომ ამ უკანასკნელებმა უტყუარი ცნობები გამოგზავნონ შიმშილობის შესახებ. ჯერ ცნობების შეკრება არ გაუთავებიათ, მიღებული ცნობებიდან კი სჩანს, რომ განსაკუთრებით მოუსავლობაა ზემო და ქვემო იმერეთში, სენაკის მაზრის ნაწილსა და ზემო გურიაში

### თ ფ ი ლ ი ს ი.

✦ მოსკოვის საეთნოგრაფიო საანთროპოლოგიო და საბუნებისმეტყველო საიმპერატორო საზოგადოების მუსიკალურ-საეთნოგრაფიო კომისიის სხდომაზე, 7 სექტემბერს, გადასწყდა: დაიბეჭდოს საზოგადოების ხარჯით ქართული მუსიკის მასალები კომპოზიტორის დ. არაყიშვილისა, ცალკე წიგნათ „კომისიის ნაშრომთა“ ქართულ მე-V გამოცემის სახით. რადგანაც ამ მასალების უმეტესობა ფონოგრამებზეა ჩაწერილი და ამიტომ საჭირო მათი ნოტებზე გადაღება, კომისიამ დაავალა ბ-ნ არაყიშვილს ეს საქმე შეასრულოს. არაყიშვილი უკვე შესდგომია ამ საძნელო სამუშავერს.

✦ ქ. გორში გარდაიცვალა მარიამ ხოშტარიასი, დედა ჩვენი პოეტის დუტუ მეგრელისა. იგი განათლებული ქალი იყო, კარგათ ქონდა შესწავლილი ქართული ლიტერატურა და დიდი გავლენა იქონია შვილის აზდაზე.

✦ ამ ზაფხულს ზ. ფალიაშვილს უკვე დაუსრულებია თავისი ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ამჟამათ ლიბრეტოს ქართულიდან რუსულათ სთარგმნიან და ოპერას რუსულათაც დასდგამენ სახაზინო თეატრში. („ს. გ.“)

**ცნობები ადესიდან.**

— გავრცელებული ხმები სტუდენტების დაჭერის შესახებ სიმართლეს მოკლებულია, მხოლოდ გამომძიებელმა კვლავ აღადგინა ეს საქმე, რომელიც ახლო მომავალში გაირჩევა. მოწვეულია საუკეთესო ვექილები და, იმედია, საქმე მშვიდობიანათ დასრულდეს.

— წელს, როგორც გასულ წლებში, ახალგაზდობა ნაკლებათ ეწვია უნივერსიტეტს, მიუხედავათ იმისა, რო მთელი კოლეგია უნივერსიტეტის ადმინისტრატორებისა შეიცვალა. სტუდენტობამ, მართლაც, რომ თავისუფლად ამოისუნთქა და, იმედია, მალე ადესის უნივერსიტეტი კვლავ აღადგენს იმ სახელს, რომელზეც იდგა ამ ათი წლის წინათ, როდესაც იქ ისეთი პროფესორები კითხულობდენ ლექციას, როგორც მაგალ. გამოჩენილი ზოოლოგი მეჩნიკოვი, ასტრონომი კლოსოვსკი, ცნობილი აქიმი პიროგოვი და სხვანი.

— ამ ჟამათ აქ იმყოფება პროფესორი ბახმეტიევი, რომელმაც აუარებელ გამოკვლევებით შექმნა ახალი სწავლა-ანაბიოზი, ე. ი. პირუტყვების გაყინვა და რამდენიმე ხანს შემდეგ კვლავ გამოცოცხლებაა პროფ. ბახმეტიევი დარწმუნებულია, მალე კაცსაც გაყინავს რამდენიმე წლით და კვლავ მოაცოცხლებს. პროფ. ბახმეტიევი იძულებულია საჯაროთ ლექციები იკითხოს, რადგან მატერიალური მდგომარეობა ხელს არ უწყობს განაგრძოს თავის გამოკვლევები. სტუდენტების თხოვნით პროფ. ბახმეტიევმა უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში გაიმეორა თავისი ლექცია, რასაც დიდძალი სტუდენტობა დაესწრო.

— ადესის მუსიკალური სასწავლებელი გადაკეთდა კონსერვატორიათ, რომელიც ამ თვის რვას აკურთხეს. სამხრეთ რუსეთში ეს ერთადერთი უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელია.

# დ ღ ი უ რ ი.

ბულგარეთმა და ოსმალეთმა ერთმანეთ შორის ზავის ქაღალდს ხელი მოაწერეს.

— ბერლინის უნივერსიტეტში უცხოელ სტუდენტთა განსაზღვრულ ნორმას მიიღებენ.

— ლონდონის მახლობლათ სუფრაჟისტ-ქალებმა ხეტყის მასალის საწყობს ცეცხლი წაუკიდეს.

— ცეტინიეში მარიამ დედოფლის სახელის საქალებო ინსტიტუტი დაიხ[...] რომელსაც რუსეთი ი[...]ხავდა.

— [...] დაითხოვენო.

— [...] დილით სჯიან.

— ალბანეთში დიდი არეულო[...] სერბიელებსა და ალბანელებს შორის [...]ტაკება ხდება.

— ავსტრია შემთხვევას ეძებს, [...] სერბია-ალბანეთის საქმეში ჩაერიოს.

— ხოლერამ აქაც იჩინა თავი. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გახდა ავათ (ჩამოსული მუშა კრუჩინინი). ხოლერის ნიშნებით სხვა საეჭვო ავათმყოფები ცალკე არიან მოთავსებული. ადესის ოლქში კი რამდენიმე შემთხვევა იყო, მაგ. დ. ვარვაროვკაში 11 კაცი გახდა ავათ.

— ახალი ქალაქის თავი პელიკანი ჩამოვიდა პეტერბურგიდანა და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას. საზოგადოება არ არის მისი კმაყოფილი. ახლავე ქალაქის საქმეებს არევ-დარევა ეტყობა.

**ს. ა.**

# აკაკი მუხიანში,

ღვდელი პ. ჯინჭველაშვილი შემდეგი სიტყვებით შეეხო არ. ჯორჯაძის ხსოვნას: საქართველოს შვილთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავა არ. ჯორჯაძეს, რომლის წრფელი გრძნობა და ღრმა ცოდნაც ჭირნახული სამშობლოს კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული. მარად წერუხოცელი და გარდაუვალი იქნება ქართველ ერში სიყვარული და პატივისცემა ძვირფასი არჩილის ბწყინვალე ხსოვნისადმი“...

გაისმა საგლოვიარო ჰიმნი...

როდესაც თამადა ი. გოგებაშვილის ხსოვნას შეეხო, ლადო ბზვანელმა შემდეგი სთქვა: „აღარ გვყავს ი. გოგებაშვილი, რომელსაც, ვინ უწყის, რამდენი თაობა აუზდია. განსვენებულის სალმერთებელ საგანს სამშობლო და ქართული მომავალი თაობა შეადგენდა. მათი კეთილდღეობისთვის ზრუნვაზე გადიოდენ მისი სიცოცხლის დღენი და ქართველი ერიც შესძლებს ღირსეულათ დააფასოს ღირსეული ქართველის ღვაწლი და შრომა!“

ნადიმი ნაშუადღევის ხუთის ნახევარზე გათავდა და აკაკი მიიწვიეს მოსასვენებლათ. მოაწია საღამოს ჟამმა და ხალხმაც იწყო დენა გარშემო სოფლებიდან. [...] ძალმა ქალმა და კაცმა მოიყარა თა[...] ყველა ნატრობდა და შეხაროდა სა[...]რელი მგოსნის ნახვას, დეპუტაცია გ[...] გზავნეს—გამობძანებულიყო და ხ[...] ჩვენებოდა. მხცოვანი მგოსანი, [...] დაღლილ-დაქანცული იყო, დასთანხ[...] და გამოვიდა. ახალგაზდობამ სავარძელ[...] ჩამჯდარი ხელში აიყვანეს, უკან მუ[...] მისდევდა მგოსანი სადგურამდი მიიყვ[...] და სადგურიდან იმავე სახით დააბრ[...] უკან.

საღამოს 8 საათზე დაიწყო საღა[...]დღესასწაული. აქ სიტყვები წარმოსთქ[...] და საჩუქრები მიართვეს: ს. ჯინჭველაშ[...]ლმა, ფარცხანაყანევის მცხოვრებთა [...] ხელით პ. თევდორაძემ, რკინის გ[...] მოსამსახურეეთა წარმომადგენელმა, [...] მკითხველთა თანამგრძნობ ქალთა წარმ[...] მადგენელმა და სხ. მოხდენილათ [...]ლამაზათ წაიკითხეს აკაკის ლექსები [...]ტარა ბავშვებმა. შემდეგ ითამაშეს აკა[...] „ბუტიაობა“, დღესასწაული 11 საათ[...] დასრულდა. საღამოს 12 საათზე ხალხ[...] სადგურზე მიაცილა და პირველის ნახევ[...]ზე აკაკიმ უკვე დასტოვა მუხიანი.

# ფიქრთა მორევში.

აკადემიკოსი მარის ამბავი ანისში [...] ლიან მწარე შთაბეჭდილებას ახდენს.

ჯერ თვით აკადემიკოსს ხმა არ გა[...] ლია „მართალია თუ არა!“-ზე. ეს შეკით[...] იყო პატივცემული მეცნიერისადმი, რ[...] მელიც თითქმის ყველა ჩვენებურ გაზ[...] ში დაიბეჭდა. შეკითხვაში ყველაფე[...] არ იყო მოყვანილი... ჩვენ იმის ცნობ[...] ბიცა გვაქვს, რა ცუდ გუნებაზე დაბრ[...] და ეს მეცნიერი--მკვლევარი ანის[...] იმის გამო, რომ იქ ბოიკოტი გამ[...] ცხადეს რადგან ანისის ნანგრევებში გ[...] და **სომხურისა** სხვა ნაწერებიც, და მ[...] შორის **ქართულიც** ამოაჩინაო...

ვამბობთ—აკადემიკოსს არა უთქვა[...] რა ჯერჯერობით, მაგრამ ამ მწარე ამბ[...]

---

# „ერთადერთი ხარჯი“

(გაგძელება იხ. „იმერეთი“-ს 114-ე №-ი.)

**ბ. ჯორჯი:** ვეცდები მუხლ-მუხლათ ვუპასუხო ბ. ჰაიდმანს ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებზე. ბ. ტოინბის ციფრების შესახებ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ აზრათაც არ მომსვლია ოდესმე და ვისიმე ციფრების კვლევაძიება. დიდ მნიშვნელობას ვერ მივცემ ციფრებს და განსაკუთრებით პროფესიონალური სტატისტიკოსის ციფრებს (კმაყოფილება). შემეძლო დაუსრულებლათ მომეყვანა ციფრები, დამერწმუნებიეთ და ყველას სასიამოვნოთ დამემტკიცებია, რომ ყველაფერი წეს-რიგზეა, რომ სრულიად არა გვაქვს ვისთანმე სამდურავი, რომ ხელფასი დიდია და კვლავაც აიწევს. დიდია თუ სულ უმნიშვნელო რენტა, თვით პრინციპს არ შეეხება ეს. მე მინდა საზოგადოებას გადავცე რენტა (ყოველთვის სამეურნეო რენტას გულისხმობ), იმიტომ მის საკუთრებას შეადგენს (ტაში) მე არა მსურს მისი გაუქმება, მინდა ყველას ხდებოდეს, ვინც სად არ უნდა სარგებლობდეს მიწით, რადგანაც მხოლოდ ამგვარი საშვალება ჩააყენებს ყველას თანასწორ პირობებში (კმაყოფილება). თუ ხელუხლებლათ სტოვებთ მის რენტას, ვინც ლონდონის შუა გულში შეიძინა პატარა ნაჭერი მიწა, რა უფლება გაქვთ წაართვათ რენტა იმას, ვინც სადღაც შოტლანდიის მთებში დაეთრევა (კმაყოფილება). მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ რენტას, ის კი არ არის, რომ ის არა საზღვრავს მრეწველობას' არა ზღის მუშათა ჩაგვრას და არ აფერხებს წარმოებას; არამედ—რომ მიწის უბრალო მესაკუთრეობას უსარგებლოთ ხდის (ტაში). როდესაც რენტას ვართმევთ, მნიშვნელობას ვუკარგავთ მისი ღირებულების აწევას მომავალში (ტაში). ჩვენ შეუძლებელს ვხდით მშრომელთა მონოპოლური რენტით სარგებლობას (კმაყოფილება), შეუძლებელს ვხდით, რომ ბ.ბ. ლენდლორდები უსარგებლოთ ფლობდენ აუარებელ მიწა-ადგილს ან დროს მოსაკლავათა და საქეიფოთ ქონდეთ, როდესაც მათვე თანამემამულეებს შეუძლიათ სარგებლობის გამოღება ამ მიწებიდან (ხანგრძლივი ტაში), შედეგათ რა მოყვება თქვენს სამეურნეო რენტას? გამოუსადეგარი და ხრიოკი ადგილები დაეთმობათ მშრომელთ, თუმცა სულ უფასოთ არა, მაგრამ ხარკ დადებულათ მაინც. სავაჭრო ღირებულება თითქოს ცილდება მიწასა და მიწის მსურველი მხოლოდ იმ უპირატესობისათვის იხდის, რო მას უფლება ეძლევა იუფლოს და ისარგებლოს აღებული მიწის ნაჭრით.

ბ. ჰაიდმანს სურს იცოდეს, თუ ვინ მიაწვდის მუშებს შრომის იარაღებს. აი იმის ნათელი სურათი, თუ რა უკრიტიკოთ ითვისებენ სოციალისტები ისეთი ძველი ეკონომისტების მოძღვრებას, როგორიც იყვნენ რიკადრო, მაკ კულოხი და სხვ... სწორეთ ისე, როგორც ისინი ამტკიცებენ შრომის უსარგებლობას უკაპიტალოთ, რომელმაც უნდა მოიხმაროს შრომა და ამიტომ კაპიტალი განსაზღვრავს შრომას, რადგან უკანასკნელი დამყარებულია შრომის ნაყოფის არსებობაზე, იმასვე იმეორებენ სოციალისტებიც, რომ უკაპიტალოთ შეუძლებელია მიწაზე შრომაო (კმაყოფილება). მაგრამ ნამდვილათ ეს არ არის ასე (ტაში). ვინ იყო ის კაპიტალისტი, პირველმა რო მისცა ადამიანს შრომის იარაღები? (კმაყოფილება და სიცილი). ახლაც ასე იქნება. რა მოხდება, თუ მიწას გაათავისუფლებთ შრომისათვის? ძლიერ ბევრი უმუშავერია, რომელთაც ადვილათ შეუძლიათ სულ პატარა კაპიტალი იშოვოს. ვერც კი ნახავთ ისეთ ადამიანს, რომ შესაფერისათ იყენებდეს თავის ნიჭსა და კაპიტალი კი ვერ იშოვოს (ხმაურობა და ყვირილი: „წესიერება! საკითხს ნუ გადუხვევთ!“) თქვენა მკითხავთ, თუ სად გამოძებნის მიწას შრომა? სად გამოძებნა, როდესაც რამდენიმეთ დაშორებული იყო მასთან? ირლანდიის მუშები 3000 მილის სიშორეზე მოგზაურობდენ ზღვით და მშრალზე ძლიერ ხშირათ 1000 მილსაც ნასესხი ან შემონახული ფულით: ოჯახის ერთი წევრთაგანი მიდის ამერიკასა და მისი შემონახული გროშები მთელი ოჯახის გადასახლებას ყოფნის. ეს დიდებული ემიგრაცია ხდება არა მთავრობის მიერ ნასესხები ფულის შემწეობით, არამედ მშრომელთა ძლიერი ხელების ნაშოვი კაპიტალით (ტაში). განვითარება შეერთებული შტატების, განვითარება ყოველი ახლათ ამოჩენილი ქვეყნისა ამტკიცებს იმ დებულებების უსაფუძვლობას, რომ შრომას არ შეუძლია სარგებლობა მოუტანოს თავის თავს კაპიტალის დაუხმარებლათ; ამტკიცებს იმ დებულების უსაფუძვლობას, რომ თავისუფალი შრომა მიწაზე არ ასწევს ფასს. მიბძანდით ახლათ ამოჩენილს ქვეყნებში, სადაც თავისუფალია მიწა, მიბძანდით იმ ქვეყანაში, სადაც მიწის ფასი მცირეა და თქვენ ვერც ერთ უმუშავერს ვერ ნახავთ; თქვენ ვერ შეხვდებით ისეთ მოვლენას, რომ ადამიანი მოწყალებასავით თხოულობდეს სამუშაოს (კმაყოფილება). რამ გამოიწვია ჩვენს ფერმერებში უკიდურესი მდგომარეობა? მიწის მონოპოლიამ, მრეწველობაზე დადებულმა ხარკმა და არა კაპიტალის გამყვლეფელმა ძალამ, როგორც ბ. ჰაიდმანი ბძანებს (კმაყოფილება). რამ წარმოშვა ის უზარმაზარი ფერმები? ისინი წარმოშვა რკინის გზების მიერ ურთიერთ შორის დადებულმა წერილობითმა ხელშეკრულობამ (კმაყოფილება). ისინი წარმოშვა შეერთებული შტატების იმ ნებადართული მიწის კანონმა, რომლის ძალითაც ყოველ პიროვნებას აქვს უფლება რამდენიმე ასეული ათასი აკრი მიწა შეიძინოს. ასეთივე მოვლენა ავალიანებს ფერმას. საითაც არ უნდა მიიხედოს, ყოველმხარეს სპეკულიანტს წააწყდება ფერმერი, მას უკვე დაბევებული ხვდება მიწა, ამიტომ იძულებულია თავიდანვე ან კაპიტალი დააბანდოს, რო მოიპოოს შრომის უფლება მიწაზე ან არა და წლითიწლობით იცადოს, რასაც უფრო ხშირათ მიმართავს ხოლმე (კმაყოფილება). ყველა ამის მიზეზები მიწის უსაზღვრო ფასშია დამარხული და ამიტომ გაუარესდა მდგომარეობა შეერთებულ შტატებში. კვალად მეკითხებიან, როგორ შეუძლია უბრალო ბარით მომუშავებსე კონკურენცია გაუწიოს მანქანებს, რომელიც დღეში 5000 აკრ მიწას ამუშავებს? ეს მას ყოველ შემთხვევაში შეუძლია. საარსებო ლუკმას მაინც იშოვის. და როდესაც ხალხი დამოუკიდებლათ იშოვის საარსებო პურს, ისინი კაპიტალისტთან აღარ გაჩერდებიან უფ[...] ცუდ პირობებში (ხანგრძლივი ტაში) კაპიტალში არ მოიპოება ისეთი თვის[...] ბები, რომ შრომა დაჩაგროს. შრომ[...] იხმარს კაპიტალსა და არა კაპიტალ[...] შრომას (ტაში). ასეთია ბუნების კან[...]ნი; და ეს შრომა ქმნის კაპიტალს; თვ[...] კაპიტალში კი იოტის ოდენაც ა[...] არის რა, რომ შრომას არ შეექმნ[...] (კმაყოფილება). მიეცით შრომას მიწ[...] დაუთმეთ ყველას თანასწორ პირობებში [...]უზრუნველყავით მშრომელი თავისი შრ[...] მის ნაყოფითა და, გარწმუნებთ, თავი[...] თავათ გაქრება განსხვავება კაპიტალის[...]სა და მშრომელს შორის. თუ კაპიტ[...]ლის უდიდესი ორგანიზაციები აღორძ[...]დება მომავალში, ხელფასის აწევით იძ[...]ლებული იქნებიან კოოპერატიულ ო[...] განიზაციათ გადაიქცენ, სადაც თავ[...] ნამდვილ ხვედრს მიიღებს შრომა [...] აღადგენს თავის უფლებას (ტაში). ჰაიდმანი ინგლისის განვითარების ისტ[...]რიაზე მიგვითითებს, მაგრამ ნამდვ[...]ლათ როგორია ეს ისტორია? ის წარმ[...] ადგენს თემის უფლებების თანდათანო[...]ბით განსაზღვრას, საზოგადო კუთნ[...]ლებიდან თანდათანობით კერძო საკუ[...]რებაზე გადასვლას (კმაყოფილება). [...] წარმოადგენს მიწის თანდათანობით [...] მორთმევას, რომელიც მთელ ხალ[...] ეკუთნოდა წინათ და პირველ მოიჯარ[...]რეთა მიწისმფლობელ კლასათ გარდაქ[...]ნას (კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა). უკანონ[...] დაპყრობათა მთელი რიგი [...]ლოს სახალხო სიგელით დაკანონდ[...] რენტის გადახდის უარყოფით, ამ აქტ[...] უარი სთქვეს ლენდლორდებმა რენტ[...] გადახდაზე, რასაც წინეთ დათანხმდენ [...] არაპირდაპირი გადასახადის სახით ხალ[...] დააკისრეს ხარჯები (ტაში). ჩვენ გვ[...] ახლა იმავე გზით დავუბრუნდეთ [...]

...ის ცნობაც ადასტურებს, რო-
...„სახ. გაზეთიდან" ჩვენს გაზეთში
...გვაქვს დღეს.
...ონდება უკვდავი ილიას „ქვათა
...ღი" და იქ მოყვანილი მრავალი
...ითი იმისა, თუ რა დაბალი ლობე
...ს ჩვენ ჩვენმა მეზობელმა-სტუმ-
...
...ლ-უბრყვილო მასპინძელს დაბალ
...თ იხდის ხშირათ თავ-გასული სტუ-
...და თავში დაჯდომა და მთელი
...ის სანოვაგის ჩანთქმაც უნდა, მაგ-
...რა ხელი უნდა ქონდეს მას მეცნი-
...მკვლევარის ძიებასთან, აღმოჩენას-
...
...ამ უნდა დავრჩეთ ასე დაბალ ლო-

**დ. მესხი.**

## პროფ. ნ. მარი და სომხური პრესა

...ვენს მკითხველებს ეცოდინებათ,
საზოგადოებაში ხმა გავრცელდა,
...ნიკ. მარს საშვალება მოუსპეს
მუშაობა განაგრძოსო. ამის გამო
გაზეთში დაბეჭდილი იყო ნ. მა-
...ღმი მიმართული შეკითხვა, რომელ-
მას ჯერ პასუხი არ გაუცია.
...ი იყო, რომ პროფ. ნ. მარის მუშა-
შედეგით ვიღაც კმაყოფილი არ
...ენილა. იმ წინააღმდეგობას, რომელ-
უწევდენ მარს და რომლის ხასი-
...ჩვენი საზოგადოებისათვის ბურუ
...მოცული, ცოტაოდენათ, ფარდას
...სომხურს გაზეთ „ჰორიზონში"
...ილი წერილი, რომელიც აქვე
...ყავს:
...ლექსანდროპოლიდან (გუმბრი) ეჩმია-
მივდიოდი, გზაში შემხვდა დონის
...ჩევნელი ორი პირი, რომელნიც სა-
...ბაუროთ გამოს-ლიყვენ, კავკასიის
...ნელოვანი ადგილების სანახავად.
...ვეცადე გამეგო მათი შთაბეჭდილე-
...ანისის შესახებ, მაგრამ იგინი ხა-
...ანათ არ მაძლევდენ პასუხს.
— რა გიამბოთ,—სთქვა ერთმა,
გვეგონა ანისში მკაფიო წარმო-
...ას მივიღებდით სომხური კულტურის
...ბ, მაგრამ სამწუხაროთ უნდა გითხ-
ვინმე რომ შეგვეკითხოს, გადა-
...ვერ ვეტყვით, სომეხთა კულტუ-
განსაკუთრებული რამ ნაშთი ვნა-
... მხოლოდ იმას დავრწმუნდით, რომ
...ხებს ანისში უმუშავიათ მხოლოდ
...ების დადგმაზე, შიგნეულობა კი
...ერთა საკუთრება ყოფილა. პ.
თავისი მუზეუმი ისე მოუწყვია და
...ვრ განმარტებას იძლევა, რომ
შთაბეჭდილებას ვერ მიიღებთ: ბ.
მარი განსაკუთრებული სიამოვნებით
დგება ბერძნული ნაწილის წინაშე და
განმარტებას აძლევს, სიყვარულითა და
სიამაყით ლაპარაკობს ქართული განყო-
ფილების შესახებ; თათრულსაც კი დიდს
ადგილს უთმობს. ხოლო სომხური ნაწი-
ლი ძლიერ საწყალია, მის შესახებ მარი
უგულოთ და სიფრთხილით ლაპარაკობს.
ჩვენ სურვილი არა გვაქვს გამოვეკამა-
თოთ პროფესორს, იქნება მას აქვს თვისი
საბუთები, რომელთა მიხედვითაც იმნაირ
დასკვნამდი მისულა, რომ სომხის ერს
საკუთარი კულტურა არ ქონია. არ
უარსვყოფთ, რომ გარშემო მყოფ და გა-
მეფებულ ელემენტს თავისი გავლენა ქო-
ნია, სომხის ხალხმა უსათუოდ შეითვისა
რამე, მხოლოდ ყველა ერთა კულტურის
ისტორიიდან ვიცით, რომ შეთვისება
გამოიხატება განსაკუთრებითი ფორმით,—
შეერთება ახალთან საკუთრისა. ისეთი
განმარტება ვერ შევამჩნიეთ ბ-ნ მარს.
ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენთან
მყოფი რუსი მოხელესაგან შთაბეჭდილე-
ბათა მატიანეში დაახლოებით შემდეგი
ჩასწერა: ,,ჩვენ ვნახეთ და გავეცანით
ოდესღაც ანისში მცხოვრებ ერთა კულ-
ტურას". ხოლო მათგან ერთმა, რომელიც
სომხის შთამომავლობისა უნდა ყოფილი-
ყო, სთხოვა დაემატებინა სიტყვები ,,უმ
თავრესად სომხების".
მაშასადამე ჩვენ გარედან მოსულებმა, ის
შთაბეჭდილება მივიღეთ, რომ ანისში გა-
მეფებული ელემენტნი ყოფილან ბერძნე-
ბი, თათრები და ქართველები, ხოლო
სომხებს უმნიშვნელო ადგილი სჭერიათ.
ყველა ამან შეურაცყოფა მიაყენა ჩვენს
ეროვნულ თავმოყვარეობას. ანისიდან
ძლიერ მძიმე შთაბეჭდილებით წამოვე-
დით".

ასე სწერს სომხური გაზეთი. რადგანაც
„ეროვნული თავმოყვარეობის შეურაც
ყოფად არ დარჩა და ბ-ნი მარი იძულე-
ლი გახდა ანისის ნანგრევებისთვის თავი
დაენებებია, ურიგო არ იქნება, ან თვით
ბ-მა მარმა, ან გარემოების მცოდნე პირ-
მა აგვიხსნას, რა მოხდა ანის ნანგრევებ-
ში, რად გახდა იძულებული ბ-ნი მარი
თავი მიენებებია იმ საქმისთვის, რომელ-
საც ამდენხანს ემსახურებოდა. ვაი, თუ
შეურაცყოფილი ეროვნული თავმოყვა-
რეობის ექსპერიმენტები განიცადა მან?..
(„ს. ვ.").

## მშრომელი ხალხი.

**ჩხრეკა.** ირკუტსკში ნოქრები და რკი-
ნისგზის მოსამსახურეთა ბინები გაჩხრი-
კეს. დააპატიმრეს ნოქართა საზოგადოე-
ბის გამგეობის რამდენიმე წევრი-

**გლეხთა მოთხოვნა.** სმოლენსკის მახლო-
ბელ სოფელში გლეხთა საერობო რწმუ-
ნებულების არჩევნებზე გლეხებმა მოით-
ხოვეს—შეტანილ იქნას ოქმში მათი
მოთხოვნა გლეხის რწმუნებულთა რიცხვის
გადიდების შესახებ.

**ჩხრეკა.** პეტერბურგში ობუხოვის ქარხ-
ნის 4 მუშა დააპატიმრეს. წინათ გათა-
ვისუფლებული 23 მუშა პეტერბურგი-
დან გაგზავნეს.

**ობუხოვის ქარხანა.** ობუხოვის ქარხა-
ნაში გაფიცვა ძალიან შესუსტდა. ზოგი-
ერთმა მუშამ ძველ პირობებში მუშაობა
დაიწყო. ქარხნის ადმინისტრაციასა და
მუშებს შორის არავითარი მოლაპარაკე-
ბა არ სწარმოობს.

**გაფიცვების მოხსნა.** კრავცოვიჩის მექა-
ნიკურ ქარხანაში მუშაობა დაიწყო. მუ-
შათა ყველა მოთხოვნილება დააკმაყო-
ფილეს. თუთუნის ქარხანა „გავანერაშიც"
დასრულდა გაფიცვა. აქ მუშებმა ძველ
პირობებში დაიწყეს მუშაობა. გაფიცუ-
ლი იყო სულ სამასი მუშა.

## რუსეთი.

**ბოროტმოქმედება საშვალო სასწავლებელ-
ში.** კომერციული სასწავლებლის დამაარ-
სებელმა ხოლმოგოროვმა სხვადასხვა
დროს მიიღო მშობლებისა და მოსწავ-
ლეების განცხადებები, რომელიც ამ სა-
სწავლებლის დირექტორის სმოლიანინო-
ვის უკანონო მოქმედებას შეეხებოდა.
სმოლიანინოვი თურმე 42 §—ის წინააღ-
მდეგ თითქმის ყველა მოსწავლეს იწვევ-
და თავისთან სამაცადინოთ, რასაკვირვე-
ლია, კარგი ჯილდოს მიღებით. და თუ
რომელიმე მოწაფე ამის უარს განაცხა-
დებდა, ის მის სისასტიკეს ვერ გაექცევო-
და და კლასიდან აძევებდა. მაგალითად
მეექვსე კლასის მოწაფეს პუპკინს, რო-
მელმაც უარი უთხრა ჯილდოს გაღებაზე
და მაცადინობაზე უსახსრობის გამო, გა-
დაემტერა და გამოცდის დროს ჩასჭრა,
დარჩენისთვის კი მეორე წელს სასწავ-
ლებლიდან დაითხოვა. კოლჩინის მამის-
თვის, დღევანდელ ავიატორს, როცა სმო-
ლიანინოვი ასწავლიდა, გამოურთმევია 200
მანეთი, ვითომ საზულალტერო საგნის
მასწავლებლისთვის გადასაცემათ და ეს
ფული მიუთვისებია. ამ ბოროტმოქმედო-
ბამ დამაარსებელი ხოლმოგოროვი და
სასწავლებლის მთელი მასწავლებელთა
პერსონალი ააშფოთა. პირველმა თხოვნა
შეიტანა ტიმაშევთან სმოლიანინოვის დი-
რექტორის თანამდებობიდან გადაყენების
შესახებ და უკანასკნელებმა კი უარი გა-
ნაცხადეს მასწავლებლობაზე, თუ უკეთუ
დირექტორათ ისევ სმოლიანინოვი და-
რჩებოდა. სმოლიანინოვის ბოროტმოქმე-
დებებამ ბევრი სენსაციური ამბავი გამოა-
აშკარავა და მითქმა-მოთქმა დაბადა მთე-
ლი რუსეთის მასწავლებელთა წრეში.
სმოლიანინოვის საქმე 12 სექტემბერს სა-
ოლქო სასამართლომ გაარჩია.

## უცხოეთი.

**ბრაიანი.** შეერთებული შტატების სა-
ხელმწიფოს მდივანს ბრაიანს ცირკში ლექ-
ციის წაკითხვისათვის გონორარათ მიუღია
6 ათასი დოლარი. ბრაიანმა განაცხადა,
მიმდინარე წელს საკმაო ფული დავმუ-
შავე და წელს ცირკში აწი არ გამოვალო.

**ლოიდ ჯორჯი.** ავსტრიის მთავრობამ
წინადადება მისცა ლოიდ ჯორჯს ბელ-
ბურგში ფინასისტთა კონფერენციაზე მო-
ნაწილეობა მიიღეო. ამასთანავე მთავრო-
ბა სთხოვს ჯორჯს წაიკითხოს მოხსენება
ინგლისის კონსტიტუციისა და ფინანსე-
ბის შესახებ. ამ შრომისათვის გონორა-
რათ 20 ათასი გირვან. სტერლინგი
შეაძლია.

**ალბანეთი და სერბია.** ალბანელებსა და
სერბიელებს შორის შეტაკებები ხდება.
ალბანელებმა სერბიის ჯარის მეოცე
პოლკზე იერიში მიიტანეს. სერბიელებმა
უკან დაიხიეს, მაგრამ მათი დამარცხება
საგრძნობი არ იყო. ალბანელებმა გალ-
ჩივა და მავროვი აიღეს და ვარდარის
ველისკენ გაეშურენ. ლევკოვაში მათ
გამწვავებული ბრძოლა მოუხდათ სერ-
ბიელებთან. ალბანელები დამარცხდენ.
მავროვო ისევ სერბიელების ხელში დარ-
ჩა. ცნობაა—ეპირში საბერძნეთისა და
ალბანეთის ჯარს დიდი შეტაკება აქვთო.
სერბიას მთავშავეთის ჯარიც ეხმარება.
სერბიას და მთაშავეთს სულ 50 ათასი
ჯარის კაცი ყავთ გამოყვანილი ალბანე-
თის წინააღმდეგ.

**იაპონია და ამერიკა.** გავაიის კუნძულზე
ამერიკელ ჯარის კაცებმა რამდენიმე ია-
პონელი მოკლეს. იაპონიის გაზეთები
სწერენ ამ მკვლელობის საზიზღრობაზე.
თუ ეს ცნობა მართალია, მოსალოდნე-
ლია იაპონიასა და ამერიკას შორის სა-
ქმის გამწვავება.

**არეულობა ალბანეთში.** ინგლისური გა-
ზეთის „ტაიმსის" აზრით, რაც ალბა-
ნეთში ხდება, იმის გარკვევა შეუძლებე-
ლია. სხვადასხვა წყაროებიდან სხვადასხვა
ცნობა მოდის. ალბანელების აზრით ყვე-
ლაფერში სერბიაა დამნაშავე. ამათ მო-
უნდომეს ალბანელებს გასერბიელება,
ალბანელები არ დაემორჩილენ და ამხედ-
რდენო. გარდა ამისა სერბიამ არ გასწ-
მინდა ალბანეთის საზღვრებში შესული
ტერიტორიაო.

## სახალხო შკოლების გარშემო.

პასუხი ს. მჭედლიძის დამცველებს:
„მეხსა" და დ. მდივანს.
(იხ. გაზ. „იმერეთი"-ს 109-ე №).

1.

ვინაიდან მე ამ ჟამათ სხვადასხვა მიზე-
ზის გამო ისეთ ადგილებსა და პირო-
ბებში ვცხოვრობ, რომ არავითარი სა-
შვალება არა მაქვს სისტემატიურათ ვა-
დევნო თვალ-ყური გაზეთებს,—თქვენი
წერილებიც დღემდი არ მინახავს...

თუმცა თქვენ ბევრს არაფერს ამბობთ,
მაგრამ ჭეშმარიტების ნაზსა და ფაქიზ
სხივებს ფჩხილის ოდენა ბნელის ტლანქი
სუდარაც-კი დაჩრდილავს, თუ დროზე
არ გაიფანტა იგი...

ბ-ნი „მეხი" ბძანებს:—„ს. მჭედლიძემ
მხოლოდ საჭირო შემთხვევებში მიმართა
თარგმნით მეთოდს"-ო; მაგრამ რათ არ
გვიბძანებთ ბ-ნო მეხო,—რამდენს შე-
მთხვევაში დაინახა საჭიროთ ბ-ნმა მჭედ-
ლიძემ მთელი გაკვეთილის განმავლობა-
ში მიემართა თარგმნითი მეთოდისთვის?
—მე-კი წინა წერილებშიც ვსთქვი და
კვლავ ვიმეორებ: „მესამე განყოფილება-
ში მხოლოდ ერთჯერ!" იქნებ მეტი არ
იყო საჭირო?!.. მაგრამ როცა ასეთ სა-
ბუთებსა და ფაქტებზე მიდგება საქმე,
თქვენ პირში წყალს იგუბავთ... რაღას
ლექავთ ამდენს და ორაზროვანი სიტყვე-
ბის ორპიფული აზრებით მობლანდულ
ბადე-ქსელებში იმალებით? აიხსენით ეგ
ნიღაბი, ნუ გვიხვევთ თვალებს; თუ
სჭრით, გასჭერით ბარემ, თუ კერავთ
შეკერეთ!—სთქვით გაბედულათ, ხმამაღ-
ლა, გაიმეორეთ თქვენი სალოცავი მოძღვ-
რის—გროზდოვის სიტყვები: „უკიდურე-
სად საჭირო შემთხვევებში მიმართა სამშობ-
ლო ენას"-თქო. შეიგნეთ, რო მხოლოდ
სრული უპრინციპობა და ფანატიზმია
სამარცხვინო ამ კულტურულს ხანში
და არა რომელიმე პოზიციის შეგნებუ-
ლათ დაცვა... მხოლოდ ჩვენ, ვისაც
უკუღმართმა ბედმა გვარგუნა თქვენთან
ულელში შებმა, ვ... ... ... ...
გვაქვს საქმე?...

შემდეგ მოულოდნელათ... გაკვეთილის
მხრის გარჩევასა და მისი ღირსება—
ნაკლთა აწუსხვას. რა თქმა უნდა თქვე
ნებური—რუსიცისტული თვალსაზრისით
და მხოლოდ ფარისევლურათ ჩაგიჭიდე-
ბიათ ხელი გოგებაშვილის აზრისთვის,
მაგრამ ამაოა ეგ ყოველი; შევიტყვეთ,
რომ იუდა ხართ, ნამდვილი ისკარიოტე-
ლი"?—გოგებაშვილისა და მის მზგავსთა
ნათელ-ელვარებაში ხელის ფათური
თქვენს სიბნელე-სიშავეს ვერ მოგვრის
ბწყინვალე შუქთ-მფენარებას. ვნახოთ
სანამდი გეყოფათ ამოსაფარებლათ ეგ
უგვანო, გამჭვირვალე რიდეები და სანა-
მდი წაიღებთ ცხრილით წყალს?!.. მართა-
ლია, გოგებაშვილი ამბობს: „მასწავლე-
ბელი სცდება, როცა ბავშვებს რამე სა-
განს ჯერ ქართულად დაუსახელებს და
შემდეგ რუსულად"-ო, მაგრამ ყველაფე-
რი აბსოლუტურათ კი არ უნდა გეს-
მოდეს ბ-ნო მეხო, (თუმცა თქვენს ფსევ-
დონიმსა და ალბათ სულსაც ძალიან
უხდება აბსოლუტიზმი) მით უფრო
მცნება პედაგოგიური—როგორც შედა-
რებითი მეცნიერებისა... მართლაც და
ვხვდებით საგნებს თვით გოგებაშვილის
სახელმძღვანელოებში, რომელთა სახელი
არც ქართულათ იციან ბავშვებმა და
არც რუსულათ.. აბა, ერთი მიბძანეთ
ბ-ნო მეხო, თქვენ თვითონ როგორ მოი-
ქცევით ასეთ შემთხვევებში? მაგალითი
კი ასეთი ბევრია...

დასასრულ თქვენს აზრს ადასტურებს
19 კურსისტი მასწავლებელი „რომელთა
საკუთარი ხელმოწერილი საბუთი ამის
შესახებ თქვენა გქონიათ ბ-ნო მეხო...
ეჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ბარემ მე-
ხი რისხვით გავარდებოდეს, ცას მო-
გლეჯდეს ნიავ-ღვართქაფს და საუკუნოთ
წალეკავდეს თქვენებ კეთილი სახელისა
და ქურქში ბოროტების მთესველთ—ერის
სამარცხვინო ნაძირალებს!—რომ უკუღ-
მართი ჰეროსტრატები არა სწვავდენ სა-
უკუნეებით ნაგებ კულტურის ტაძრებს
და ხალხის სულის სალაროს არ ქურდავ-
დენ!.. სამწუხაროთ ჩვენში სწორეთ ახ-
ლაა, ამ დაკნინების ჟამს, ჰეროსტრატე-
ების სოკოსავე გამრავლების ხანა...
თქვენ ამბობთ. „19-ს უწერია ხელიო".
მე-კი დარწმუნებით ვიტყვი,—არათუ
19, თითქმის $^{9}/_{10}$-იც ამ კურსების მსმე-
ნელთა გახლდათ რუსიციზმის მებაირახტ-
რე—გროზდოვის რაზმში მებრძოლნი;
სამარცხვინო მიზნით: თვით—ამაღლები-
სა და განდიდების,—მლიქვნელობა-გაი-
ძვერობით მაძიებელნი და შემიძლია თა-
მამად დავარწმუნო მკითხველი საზო-
გადოება, რომ თქვენ ცოტა გულგრილ-
ლათ არ მოკიდებოდით თქვენს როლს
—მჭედლიძის ვექილობას, იქნებ ბევრს
სხვასაც გარუსების პოლიტიკის მოტრფი-
ალე დეგენერატ „ედინომიშლენნიკებს"
მოაწერიებდით ხელს ამ თქვენს ავათმყო-
ფური ფეთქვის სიმპტომ-ეპისტოლეზე;
ვინაიდან, როგორც მე პირველსავე ჩემს
წერილებში ავნიშნე, გარდა ორიოდე
პირისა, უმრავლესობა კურსისტებისა სავ-
სებით იზიარებდენ გროზდოვის აზრს და
მხარს უჭერდენ მას... გარნა თუ უმრავ-
ლესობამ ბნელეთის მოციქულ-შავრაზ-
მელებმა მჭედლიძე „ნაღრათ" გაამართ-
ლა, ეს კიდევ არ ამტკიცებს იმის სი-
მართლეს ჩვენი,—ქართველების თვალსა-
ზრისით. საქმე ფაქტია, თვალსაჩინო სა-
ბუთი და სანამ ამას არ დაგვანახვებთ
დაეჭვებულ ხალხს, ისე ვერ დავიჯერებთ
თქვენს უცოდველობას.

—

ბატონმა მდივანმა-კი ალექსანდრე მა-
კედონელის სიმამაცით დაკრა ხმალი და
გასჭრა ჰორდიის ნასკვი, მაგრამ ასეთი
რაინდული მოქნევა ახლანდელს დროში
აზრთა სიტყვიერ ნასკვს ნაკლებათ სჭრის,
თუ საბუთებით არ დაარღვიე და არ
დახსენით იგი...

თვით მკითხველმა დასდვას მსჯავრი:
—იმდენი ფაქტებითა და ცოცხალი მაგა-
ლითებით დასაბუთებული წერილებს
შემდეგ, რომელიც გამოაქვეყნეს თვით
ამ კურსებზე ოფიციალურად მიწვეულმა
მასწავლებლებმა, რომელთაც პირადი
ინტერესებისა და მცირე აღმატებისთვის
ჯერ კიდევ არ შეუწირავთ ხალ-
ხის ინტერესები, არ უღალატნიათ
ჭეშმარიტი ადამიანის მოვალეობის-

---

...ჩვენ „ერთადერთი ხარკის" მომ-
...ნი. ვცდილობთ დავუბრუნდეთ ძველ
...ილებას, აღვადგინოთ თანამედროვე
...მებთან შეთანხმებით და აღვიაროთ
გაუბედავათ, კერძოთ, არამედ მთე-
...თავისი სიდიადით—ის ჭეშმარიტება,
...ყველა თანასწორათ უნდა სარგებ-
...დეს მიწითა და ამისი დამატება ის
...ბა, რომ ყოველ ადამიანს მიენიჭება
...ება თვითვე ისარგებლოს თავისი
...მის ნაყოფით (ტაში). დღეს, რო-
...ც ყოველთვის ამბობენ ჩვენი მეგო-
...სოციალისტები, ბევრი რამ გავი-
...თ შრომის იარაღთა ნაციონალიზა-
..., კაპიტალის სახელმწიფო საკუთ-
...თ გამოცხადებაზე და სახელმწიფოს
...შრომის ორგანიზაციის მოწყობაზე.
...მ როგორც დღეს, ისე არც სხვა
...ს მგმენია, რომ პრაქტიკული ნაბი-
...ადაედგას ვისმე ამ გზისაკენ (კმაყო-
...ება). როგორ ფიქრობენ სოციალის-
... ასეთ გასაზოგადოებრიობას და
...შეეხება იგი? საჭიროთ ვსთვლი შევ-
...ო და ერთი წუთით საკითხს გადა-
...ო, რო მე არასოდეს არ ყოფილ-
...რკინის გზების კონფისკაციის მომ-
...მე აღვიარებ, რომ მიწის რენტა
...გადოების საჭიროებას მოხმარდეს;
...ოვითხოვ, ჩამოერთვათ ყველა მონო-
...ური პრივილეგიები. მაგრამ არავის
...დავუთმობდი, რაც შრომის ნაყოფს
...ოადგენს, სანამ სრულ მის ღირე-
...ებას არ გადავახდევინებდი. საწარ-
...იარაღთა ჩამორთმევა დიდ რასმე
...ავს (კმაყოფილება). საწარმოო ია-
...შეიცავს რკინის გზებსა და ხომალ-
...გარდა, კიდევ ნაჯახს, ბარს და და-
...ქედებელი მშრომელის ყველა ხელ-
...ყოს, აგრეთვე საწარმოო იარაღია
...ბებსა და მაღაზიებში გასაყიდი სა
...ლი. ყველა ამაების ჩამორთმევას
ხომ არ ფიქრობთ? („დიახ!"). ძნელი
საქმისთვის მოგიკიდიათ ხელი! (სიცილი
და ტაში). მომხდარა როდისმე ისტორია-
ში, რომ არაფრის მქონეს ჩამოერთმიოს
რამე ყველაფრის მქონესათვის? არა, ეს
ჯერ არ მომხდარა. მაგრამ ყველა ამას
შემდეგ რაღას ფიქრობთ? („საქმეზე მოვიუ
ხმართ!"). საქმეზე მოიხმართ მთავრობის
ხელმძღვანელობით, წარმოების ყოველ-
გვარ დარგში მთავრობის მოხელენი და
საბჭო იქნება თქვენი ხელმძღვანელი,
ვექილთა და ექიმთაგან (მაგრამ მაშინ
მგონი ვექილი მეტი ბარგი იქნება) შემ-
დგარი საბჭო, თვით რძის გა-
მყიდველიდან დაწყებული, ქუჩაში მო-
ვაჭრე და ჩექმის მწმენდელამდი! რას
ნიშნავს ყველა ეს? გვეუბნებიან, რომ
ასეთი მართველობა დაიცავს საზოგა-
დოების, ხალხის ინტერესებსო. ისტორია
კი სულ სხვას გვეუბნება ამგვარ ორგა-
ნიზაციებზე. ნუთუ ორგანიზაცია არ
ნიშნავს მთელი ძალა-უფლების რამდე-
ნიმე ადამიანის ხელში ჩაგდებას? ნუთუ
ყველა თქვენგანმა არ იცის, როგორც
ოდესმე მეც ვიცოდი, რომ პოლიტიკურ
ორგანიზაციაში ყოველთვის სუფევს მი-
დრეკილება—რამდენიმე პირმა ჩაიგდოს
ხელში ძალა-უფლება? ნუთუ სიმართლე
არ არის, რო მთელი ხალხის სასარგებ-
ლოთ გასარჩევ საკითხს რამდენიმე გაი-
ძვერა და გაქნილი ავანტიურისტი თავი-
სი პირადი შეხედულებით სულ სხვაგვა-
რათ სწყვეტს ხოლმე? აი იმის მაგალი-
თიც, თუ როგორ ხელმძღვანელობს მთავ-
რობა წარმოებას: ნაწარმოების გაცვლა-
გამოცვლისა და წარმოების მოწესრიგების
მიზეზით მთავრობამ ოდესღაც მფარველ-
ლობითი სისტემა შემოიღო ჩვენში—შეერ-
თებულ შტატებში კი აქამდი არსებობს.
აი რა მოგვცა საყოველთაო არჩევნების
მეოხებით გამოთქმულმა ხალხის სიბრძნემ:
ეცადა ისე წაეყვანა წარმოება, რომ ბედ-
ნიერება მიენიჭებია ხალხისთვის, მაგრამ
შედეგათ რა მოგვცა? განუსაზღვრელი
ცარცვა-გლეჯის სისტემა, სისტემა, რო-
მელმაც ანდრიუ კარნეჯი შემოგვძლვნა,
რომლის შემოსავალიც 5 მილიონ დო-
ლარს უდრის და ყველა ჩვენი ხომალდე-
ბი სადღაც უფსკრულში გადაღუპა. ხალ-
ხის ამ სიბრძნემ იმ სისტემამდი მიგვიყვა-
ნა, რომ გავლენიანმა სფერებმა ისინი
გაამდიდრეს, ვინც შესძლო მათ მიერ
„გამოგონილი" სიკეთის დაფასება (კმა-
ყოფილება). დაუფიქრდით, რა შედეგი
მოყვებოდა, რო მთელ წარმოებაში ასე-
თი სისტემა შემოეღოთ! (ტაში). თქვენ
გვითითებთ მრეწველობის არმიის ორგა-
ნიზაციაზე. მაგრამ, ნუ გავიწყდებათ, რომ
ყოველგვარი ორგანიზაცია თავისთავათ
ტირანიას წარმოადგენს, რომ თვითოეული
ადამიანი მოვალეა, როგორც უსულო
მანქანა, ჩადგეს წრეში და დაემორჩილოს
არამკითხე მთავრობას. ხომ არ ფიქრობთ,
ნაკლები დაჩაგვრა მოველისთ, როდესაც
ხალხის სახელით იმოქმედებს ვინმე? არა,
არას გზით! ხომ არ ფიქრობთ, ვითომ
რაიმე სარგებლობა მოგელისთ, როდესაც
რომელიმე პარტია, პიროვნება ან რომე-
ლიმე მთავრობა ცთილობს რითიმე გაა-
ბედნიეროს საზოგადოება? („არა!"). რა-
საკვირველია, არა, ეს ჩვენ შეერთებული
შტატების მაგალითიდანაც ვიცით, ვი
ცით, რომ უმრავლესობა ისევე მოგვე-
პყრობა, როგორც ულმობელი დესპოტი.
სამწუხაროთ დრო აღარა მაქვს (ხან-
გრძლივი ტაში). **გოლდ.**

(დასასრული ხვალ).

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთი
რომელიც პირდაპირ მწარმოებელისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით.
სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთზე გასულ წელთან შედარებით
ფასები დაუკლო.

ახლად მიღებულია ჩანთები (რანცები)
მოწაფეებისთვის და ძლიერ დაკლებულ ფასებში. ჩვენ მოვა[...] მოწაფეების ყურადღებას ახლად გამოცემულ მოწაფეების[...]
„დღიური" „Дневникъ"
რომელიც სრულიად [...] მოწაფის [...] მოთხოვ[...]ლებასა და შედარებით იაფ ფასათ იყიდება.



დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზ[...]

მოვწოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, [...]ტაკზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის [...]ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.


თვის, სიმართლესა და ეროვნებას პრინციპისთვის (იხ. გაზ. „თანამედ. ქვეყ." № 17—გარიყული" და ჯატუნია, „იმერეთი" № 109—ორი და სხვა, გარდა ჩემი წერილებისა), დღეს აგრე მშრალათ, ლიტონი სიტყვით, ავტორიტეტიული კილოთი ლაკონიურათ ნათქვამსა და ჯეროვანათ დაუსაბუთებელ აზრს დაეჯერება?, და უნებლიეთ, ეჭვი არ დაიბადება—მელას კუდი ხომ არ ემოწმება"-ო?.. თქვენ, რომ მჭედლიძის გაკვეთილს დასწრებიხართ, „შემთხვევით" იყოს გინდ განზრახ, ეს გარემოება სრულიად არა ქმნის ყოველგვარ შეცთომებისგან, თუ ცუდ საქციელიდან მჭედლიძის დასაცავ გარანტიას; ან რატომ გგონიათ, რომ მარტო თქვენ დაესწარით ამ გაკვეთილზე და სხვა არავინ, ან თვით კურსისტებსაც არა ქონდათ თავისი თავი, თვალი და ყური? და, აი, სწორეთ მეც ყოველივე ჩემ მიერ გამოთქმული აზრების დასამტკიცებელი, თვით გაკვეთილის გარშემო შეკრებილი ცოცხალი მაგალითები და ფაქტები მქონდა, რომელიც კიდეც გამოვაქვეყნე უკვე წინა წერილებში,—და, რომელსაც სწორეთ ანგარიში უნდა გაუწიოს ვისაც სწადია თვალხილულათ შეხედოს საკითხს, ხოლო მათი გვერდის არება, სულ სხვა ნიშანს მიეწერება და სხვაგვარ ეჭვს დაბადებს...

აბა, თუ-კი აგრე გწამთ მჭედლიძის სიმართლე, საფუძვლიანათ რატომ არ გაარჩიეთ ჩემი წერილი და არ დაარღვიეთ მჭედლიძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი? იცოდეთ, რომ ეს თქვენი ზნეობრივი მოვალეობაა, თუ-კი აგრე გრძნობთ ჩემი მოპირდაპირის სიმართლეს.—ისე კი, თქვენი პასუხი მიამაჩნია ზედმეტათ და უადგილოთ!...

**ია ნარიძე.**

## თეატრი.

**თფილისის ქართული დრამა.** კვირას, 15 სეკტემბერს სეზონი დაიწყო „ღალატით".

როგორც მოსალოდნელი იყო, თეატრს აუარებელი ხალხი მოაწყდა და ბევრი უბილეთობის გამო გულ-ნატკენი უკან დაბრუნდა. ყველას ეინტერესებოდა კვლავ ენახა ჩვენი საყვარელი მსახიობი ნინო ჩხეიძის ასული ზეინაბის როლში.

პირველი მოქმედება ძალიან მკრთალი იყო, არ ვიცი, რას მივაწეროთ. ჩვენის აზრით ბრალი ვლ. მესხიშვილსაც უნდა ედვას, რომელსაც როლის უცოდინარობა ერთობ ემჩნეოდა.

როგორც ყოველთვის, შეუდარებელი იყო ნინო ჩხეიძის ასული ზეინაბის როლში, მისი გულიდან ამონაკვეთი ყოველი სიტყვა აფთოვანებას იწვევდა. განსაკუთრებით კარგი იყო მესამე მოქმედების ბოლო სცენასა და უკანასკნელ მოქმედებაში.

ზეინაბს მხარს უშვენებდა ვალ. გუნია (ოთარი). ხმა, მიხვრა-მოხვრა, თავის დაჭერა, და ყოველი სიტყვის აზრიანათ თქმა ამშვენებდა მის ახოვან მედიდურობას.

ა. იმედაშვილი ჭკვიანი მსახიობია, იგი უკვირდება როლს, და შეგნებით ეკიდება, რაიც იშვიათია ჩვენს სცენაზე. მინახავს ჩვენი მსახიობი, რომელიც გაზეპირებულ სიტყვებს ამბობდა თუთიყუშივით და გული და სული კი არ აჩნდა. ამ საღამოს იმედაშვილმა (დათო) მოხიბლა თავისი ბუნებრივი თამაშით საზოგადოება.

ზარდალიშვილი და ერეკლე? სწორედ რომ შესაბრალისი სანახავი იყო! ხმა ხომ სულ არ უწყობდა ხელს.

ვერც მარო მდივნის ქალმა დაგვაკმაყოფილა რუქაიას როლში, სიტყვებს სხაპა-სხუპით ისროდა, რაც შთაბეჭდილებას აქარწყლებდა. კარგი იყო მესამე მოქმედებაში და პირველ მოქმედებაში მშვენიერი ზღაპარი მეტად მკრთალათ სთქვა.

შალიკაშვილისაგან (საბა) მეტს მოველოდით. ჩემის აზრით, შეუძლებელია ერთსადა იმავე დროს რეჟისორობაც და თამაშიც. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ ჩვენმა რეჟისორებმა ეს.

დავითაშვილს ასულს სულ რომ არ ეკისრა გაიანეს როლი უფრო ბევრს მოიგებდა... გაიანე უნდა იყოს გულუბრყვილო, ცქრიალა და დავითაშვილის ქალი კი ამ როლისთვის შეუფერებელია, თუმცა ბევრს ცთილობდა—გულ-უბრყვილო გოგოს ტიპი დაესახა.

ჩერქეზიშვილისა და ჯავახიშვილის ქალები თავ-თავის ადგილას იყვნენ.

არა უშავდა რა კ. მესხსაც (ანანია), თუმცა ეს როლი არაა მისი. ბ-ნი სარაული (ყარაიუსუფი) კარგი ძალაა ჩვენი სცენისათვის და თუ შრომას არ დაიზარებს და ისწავლის, გამოსადეგი მსახიობი დადგება.

დასასრულ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა თეატრის წესრიგზე. აფიშებ განცხადებებში დაბეჭდილი იყო, რომ წარმოდგენა დაიწყება სრულ 8 საათზე და მესამე ზარს შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენო! ნამდვილად კი დაიწყეს 8 ნახევარ საათზე და ფარდას ახდიდან მოყოლებული ჩამოშვებამდი ისეთი ალიაქოთი, კრების ჭრაჭა-ჭრუჭი და ჯახა-ჯუხი იყო, რო მეორეთ მოსვლა ეგონებოდა ადამიანს. ეს არაფერი! ჩემ წინ, მეორე-მესამე რიგში მსახიობნი ისხდენ. შემოვიდა ერთი ვინმე (როგორც გამოირკვა, ადმინისტრატორი ყოფილა) და ხმა მაღლა დაუწყო ლაპარაკი: „თქვე, თავისუფალ მსახიობებს ნება არა გაქვთ მეშვიდე რიგის ახლოს ჯდომისაო და სთხოვდა, რომ გაბძანებულიყვენ. ყველა ეს მოხდა წარმოდგენის მსვლელობის დროს. და რა შუაში ვიყავით ჩვენ, მაყურებლები, ნუთუ არ შეიძლებოდა ანტრაკტის დროს?!

ამავე პიესას ქუთაისში 28 სეკტემბერს წარმოადგენენ სეზონის გახსნის დღეს.

**მე არა ვარ.**

რედაკ.-გამომცემელი **გრ. ერ. ჭელიძე.**


აქციონერული საზოგადოება.
ს.-პეტერბურგის **ქიმიური ლაბორატორიისა.**
იზმაილოვის პროსპ. № 27.
პარიზი 1900 ოქროს მედლებით ნიჟნ-ნოვგ.
**Beaute duteint**
გლიცერინის რძე—ისრის რძე.
საუცხოვოთ რბილებს, აჩვილებს და ახავერდებს კანს.
იყიდება ყველა კავკასიის სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.



**ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოთ.**
ქ. ქუთაისში კ. ი. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში იყიდება მისივე გამოცემა
**ქართული სახელმძღვანელო**

# „საქართველოს ისტორია,"

მესამე გამოცემა სურათებითა და გეოგრაფიული კარტით, შედგენილი ბ. **სიმონ** ქვარიანის მიერ. წიგნი ღირს ყდით ორ აბაზათ.

**„საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ".**

ყოველი ერი მაშინ მიდის წინა და ვითარდება, როცა იგი სწავლობს თავის წარსულს, თავის ისტორიას. ერის აწმყო და მომავალი ცხოვრება უმთავრესათ დამყარებულია მის წარსულზე. თუ თავის წარსულს არ გაეცნობა, ისე იგი ვერ გაიკვლევს გზას, როგორც აწმყო ცხოვრებაში, ისე მით უფრო მომავალში. თავის წარსულის უმეცარი ერი წააგავს იმ უკომპასო ხომალდს, რომელიც უთავბოლოთ დაფორიალობს ზღვის ტალღებში. სწორეთ წარსულის შესწავლა, თავის საკუთარი ისტორია იგივე კომპასია ყოველი ერისათვის. ამიტომ არის, რომ განათლებული ერები დიდი გაფაციცებით იკვლევენ და სწავლობენ თავის საკუთარ ისტორიას, მათ შკოლებში უმთავრესსა და უსაყვარლეს საგნებს შეადგენს: სამშობლოს ისტორია, ენა და ლიტერატურა. ეს სამი საგანი მათი განათლების საფუძველია. ასე იქცევიან განათლებული ევროპის ერები, ასე იქცევიან რუსეთის საზღვრებში მყოფი შეგნებული ერები—პოლონეთი და ფინეთი. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ამას გვიკარნახებს ცხოვრების სინამდვილე და მეცნიერება.

ქართველი ერის ჩამორჩენა და დაქვეითება, სხვათა შორის, აიხსნება მით, რომ იგი რა იცნობს თავის დიდებულ წარსულს, რომლის შეგნებაც გაამხნევებს მას, გააცნობს თანამედროვე ცხოვრებას, აღძრავს მის არსებაში მოქმედების ღრმა რწმენას და მისცემს უშრეტ ძალას წინმსვლელობისათვის. ყოველი ქართველი ზნეობრივათ ვალდებულია გაეცნოს და შეისწავლოს თავისი წარსული, ყოველი შკოლა მოვალეა შეასწავლოს ქართველ მოწაფეებს ისტორია,

ამ მოსაზრებით აქ სამი წლის წინათ ბ. სიმონ ქვარიანმა შეადგინა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ეპიზოდური კურსი) დაბალ კლასებისათვის. ამ წიგნში მოთავსებულია ქართველი ერის ცხოვრება უძველესი დროიდან დაწყებული რუსეთთან შეკავშირებამდი. ეს წიგნი მოიწონა მასწავლებელთა კომისიამ და პრესამ; აგრეთვე მოიწონა იგი იმერეთის ეპარქიულმა საბჭომ და შემოიღო სახმარებლათ მთელ საქართველოში, როგორც კერძო და სამოქალაქო შკოლებში, ისე სამინისტროსა და სასულიერო სასწავლებლებში. თავისი მარტივი, გასაგები ენითა და საგნის მწყობრი დალაგებით ეს წიგნი გავრცელდა ოჯახებში და ფეხი მოიკიდა ხალხში. ეს სასიამოვნო მოვლენა იმის ნიშანია, რომ ქართველი ხალხი იღვიძებს და მასში იბადება სურვილი თავის სამშობლო ისტორიის შესწავლისა.

დღეს ბ. სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორია" გამოდის მესამე გამოცემათ ხუთი ათასი ცალი. გვწამს, რომ მას შეხვდებიან ჩვენი შკოლები, ხალხი და საზოგადოება ისეთივე თანაგრძნობით, როგორც პირველს ორს გამოცემას. ამ მესამე გამოცემას ემატება კიდევ ქართველი ერის უდიდესი გმირის გიორგი სააკაძის სურათი.

გამომცემელი კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია. ქუთაისი.



**КУРСЫ** кройки и шитья для дамъ и дѣвицъ.
**ПРІЕМЪ** заказовъ на элегантные дамскіе наряды

**M-me МАРИ**

На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что специальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможность: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) зарабатывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтнюю практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого, до начала занятій остается немного. Поспѣшите записаться на курсы. Кандидатки сверхъ комплекта приниматься не будутъ.

Тутъ же при курсахъ открыта мною специальная мастерская для пріема заказовъ исключительно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ* Кутаисъ, 1-ая Александровская улица, домъ Бекерія противъ бульвара.

Съ почтеніемъ **M-me МАРИ.**



ამ შემოდგომაზე ჭურებისთვის დ[...] გჭირდებათ
**საუკეთესო ცემენტი,**
რომელიც შეგიძლიათ იშოვოთ მხოლოდ
**ძმ. ე. და პ. საკაშვილების სავაჭროში**
**ქუთაისში** პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი. იქვე იყიდება: ს[...]ლის საღებავი მასალები, შპალიერი, კარისა და სარკმლის მოწყ[...]ბილობა და სხვა მრავალი საქონელი.



**სამკურნალო აბანო**
მეირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
ხრესილი. ახლად თავიდან გაკეთებული.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თბილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.



**გ. მორდაძისა და ს. წერეთლის**

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლ[...] უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ მალცევის ბემსკის მ[...]ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКО[...]

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილება, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.